პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (66) 7 ივლისი 1955 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.
2. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს ამომრჩეველთა მიერ შეტანილი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების შესრულების შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ.
4. ბრძანებულება აპარის ასსრ ქობულეთის რაიონის ბახათის სასოფლო საბჭოს ცენტრის გადატანის, საბჭოს გადარქმევისა და ზოგიერთი სოფლის გაუქმების შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 13 ივნისის და 19 ივლისის დადგენილებების ნაწილობრივად შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის შინისტრის ამხ. გ. გ. თვალჭრელიძის მოხსენება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, დუშეთის, ზესტაფონის, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის და წყალტუბოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გადასახადთა და გამოსაღებთა სამმართველოში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბევრი დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გადაწყვეტის საქმეში. ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმის, საქმის გაპაპანურებისა და მშრომელთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ზოგიერთი თავმჯდომარე, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები უშუალოდ არ მუშაობენ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაზე და ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს აპარატის მუშაკებს ანდობენ.

შემოწმებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში უხეშად ირღვევა მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების გადაწყვეტის ვადები, რაც დაწესებულია სსრ კავშირის კაკის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით.

ზესტაფონის რაიაღმასკომში 1954 წლის ივლისიდან მიმდინარე წლის 15 აპრილამდე შემოსული 652 საჩივრიდან და განცხადებიდან 79 განხილული იყო დაწესებული ვადების დარღვევით, წყალტუბოს რაიაღმასკომში ამავე პერიოდში 332 განცხადებიდან და საჩივრიდან განხილულია 62 განცხადება. მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ვადების დარღვევას ადგილი ჰქონდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში და აგრეთვე ზესტაფონის, სამტრედიის, თელავის, წყალტუბოს და სტალინირის რაიაღმასკომებში.

არის ფაქტები, როდესაც მშრომელთა განცხადებების და საჩივრების განხილვა თვეობით ჭიანურდება.

მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად, ბევრ ადგილობრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში დროზე ვერ კმაყოფილდება მშრომელთა კანონიერი მოთხოვნები, რის გამო ისინი იძულებული არიან რამდენჯერმე მიმართონ განმეორებითი საჩივრებითა და განცხადებებით, ან მიაღწიონ თავიანთ კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ზემდგომი ორგანოების მეშვეობით.

იმის ნაცვლად, რომ არსებითად განიხილონ შემოსული საჩივრები და განცხადებები, დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ეწევა ფორმალურ მიმოწერას, ან უგზავნის მათ სხვა უწყებებსა და ქვემდგომ ორგანიზაციებს გარკვეული მითითებების მიუცემლად.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მავნე პრაქტიკა საჩივრების გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზავნისა იმ დაწესებულებებისათვის და თანამდებობის პირთათვის, რომელთა მოქმედებაზეც ის არის შემოტანილი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოში ადგილი ჰქონდა საჩივრების განსახილველად გადაგზავნის ფაქტებს იმ პირებისათვის, რომელთა მოქმედებაც გასაჩივრებული იყო.

ცალკეულ შემოწმებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არ არის მოგვარებული მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვა, ადგილი აქვს მათს დაუფიქრად შენახვისა და დაკარგვის ფაქტებს, კონტროლი არ ეწევა განცხადებების მსვლელობას.

სტალინირის რაიფინგანში 1954-55 წლებში შემოსული 409 განცხადებიდან საერთო ჟურნალში რეგისტრირებული არ ყოფილა 369, ჯავის რაიფინგანში 245 განცხადებიდან—177, ხოლო ხაშურის რაიფინგანში 1296 განცხადებიდან—1003 განცხადება.

საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვის, შენახვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, აგრეთვე ამ საქმისადმი მუშაკთა უყურადღებო დამოკიდებულების შედეგად, სამტრედიის რაიფინგანში დაიკარგა 10 განცხადება, ხოლო ჩოხატაურის რაიფინგანში—2 განცხადება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა არ იცოდა იმ 243 კონტროლზე აღებული საჩივრისა და განცხადების განხილვის შედეგი, რომელიც მან 1954—55 წლებში გაუგზავნა განსახილველად ქვემდგომ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, დუშეთის, სამტრედიის და თელავის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები იშვიათად ისმენდნენ თავიანთ სხდომებზე მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-გადაწყვეტის მდგომარეობის საკითხს. მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში, აგრეთვე საჩივრების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში სუსტ მონაწილეობას იღებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიების წევრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები; საჩივრების განხილვა ხშირად ხდება განმცხადებლის დაუსწრებლად იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მისი დასწრება აუცილებელია.

საჩივრებისა და განცხადებების განხილვის გაუმჯობესების საკითხებს იშვიათად აყენებენ აგრეთვე სამინისტროების კოლეგიის განსახილველად. წარმოება-დაწესებულებების ცალკეული ხელმძღვანელები არ აკლინებენ და არ ღებულობენ ზომებს იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების მიზეზს წარმოადგენენ.

შემოწმებული აღმასკომების საფინანსო ორგანოებში მიმდინარე წლის 1 მაისამდე შემოსული 2923 განცხადებიდან და საჩივრიდან 1455 განცხადება შეეხებოდა საფინანსო ორგანოების მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით უმართებულოდ დაბეგვრას. მარტო ქუთაისის რაიაღმასკომის საფინანსო განყოფილებაში უმართებულოდ დაბეგვრის შესახებ შეტანილი 279 საჩივრიდან დაკმაყოფილებული იყო 200 საჩივარი, ხოლო წყალტუბოს რაიონში—225 საჩივრიდან—124 საჩივარი.

ცენტრალური და ადგილობრივი პრესა ძალიან იშვიათად ათავსებს მასალებს, რომლებიც ააშკარავებენ მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკმაყოფილებისადმი უსულგულო-ჩინოვნიკური, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას; დაწესებულებათა ცალკეული ხელმძღვანელები არ ეხმაურებიან პრესის სიგნალებს, არ ამოწმებენ მოყვანილი ფაქტების სისწორეს და არ აცნობებენ პრესის ორგანოებს შემოწმებისა და მიღებული ზომების შედეგებს.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით „მშრომელთა საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ“, გადაჭრით გაუმჯობესონ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმის დაყენება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოქალაქეთა პირად მიღებას და მათი კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

2. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა სისტემატურად განიხილონ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების გადაწყვეტის საკითხები აღმასკომების სხდომებზე, ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, სამინისტროების კოლეგიის სხდომებზე, გამოაშკარაონ ნაკლოვანებანი, აღმოფხვრან მშრომელთა საჩივრების გამომწვევი მიზეზები და მიიღონ ზომები მათი ლიკვიდაციისათვის; ფართოდ ჩაებან ამ საქმეში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, უწყებებს უზრუნველყონ შემოსული განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა და მათ გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა მოქალაქეებისათვის შეტყობინება.

4. ვინაიდან კანონების დარღვევა ზოგჯერ იმიტომ ხდება, რომ მოქალაქეები მათ სუსტად იცნობენ, პრესის ორგანოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, იუსტიციის და პროკურატურის ორგანოებმა ფართოდ გაშალონ მუშაობა, რათა განუმარტონ მოსახლეობას საბჭოთა კანონმდებლობა, რომელიც თავალისწინებს მოქალაქეთა შრომის, საბინაო, საპენსიო და სხვა ქონებრივ და პირად უფლებებს, აგრეთვე მოვალეობებს.

5. დაევალოს პროკურატურის ორგანოებს გააძლიერონ ზედამხედველობა საჩივრებისა და განცხადებების კანონიერად გადაწყვეტისადმი, ხოლო სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა სისტემატურად გაუწიონ კონტროლი მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-გადაწყვეტის ორგანიზაციას. სასტიკ პასუხისგებაში მისცენ თანამდებობის პირები, რომლებიც ეწევიან საქმის გაჭიანურებას, ბიუროკრატიზმს ან უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ მშრომელთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისადმი.

6. ერჩიოთ აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განიხილონ რესპუბლიკების დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საკითხი და მიიღონ ზომები სათანადო წესრიგის დასამყარებლად ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაეკალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს (ამხ. გ. თვალჭრელიძე) შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მდგომარეობა და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ანგარიში მომდინარე წლის ოქტომბერში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტაიაშვილი.

ქ. თბილისი.
1955 წ. 27 ივნისი.

2. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს ამომრჩეველთა მიერ შეტანილი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ადგილობრივი საბჭოების მთელი რიგი დეპუტატები, მათი არჩევის შემდეგ, პრაქტიკულად შეუდგენენ თავიანთი ამომრჩევლების განაწესებისა და წინადადებათა შესრულებას. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, არჩევნების ჩატარების შემდეგ, დახმარება გაუწიეს დეპუტატებს დეპუტატის მოვალეობათა შესრულების საქმეში. საჩხერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, ამავე რაიონის და თელავის რაიონის ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ დროზე შეაგროვეს, განიზოგადეს და დეპუტატებს გადასცეს საათანადო საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა განაწესები და წინადადებანი და მიიღეს ზომები მათი განხორციელებისათვის. დეპუტატების ინიციატივით, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების აქტიური დახმარებით, დეპუტატებმა განახორციელეს ამომრჩეველთა მთელი რიგი წინადადებანი. საჩხერის რაიონის კორბოლოს სასოფლო საბჭოს დეპუტატმა შ. ბ. მაჟარაშვილმა უზრუნველყო მოსახლეობის დახმარებით კილომეტრნახევარზე წყალსადენის გაყვანა სოფელ ნიგზარისათვის; ამავე რაიონის ჭაღლის სასოფლო საბჭოს დეპუტატმა ა. ნ. ახვლედიანმა თავისი ამომრჩევლების განაწესის შესასრულებლად უზრუნველყო მდინარე ყვირილის ხიდის კაპიტალური რემონტი; დეპუტატ ს. თ. დაღუნდარიძის ინიციატივით გურჯაანის რაიონის სოფელ ვეზისუბანში მთავრდება სოფლის სკოლის ოთხი საკლასო ოთახის დამატებითი მშენებლობა; ქ. თელავში დეპუტატ ორკოდაშვილის ინიციატივით, შეკეთებულია ორჯონიკიძის სახელობის ქუჩა. ანალოგიური სამუშაოები შესასრულეს მშრომელთა დეპუტატების სხვა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმაც.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი საბჭოების ყველა დეპუტატი ჯერ კიდევ არ მუშაობს აქტიურად თავიანთ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესასრულებლად. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მთელი რიგი აღმასკომები ჯერ კიდევ არ უწევენ დეპუტატებს საჭირო დახმარებას დეპუტატის მოვალეობათა განხორციელებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურჯაანის, დმანისის, წალკის, ხაშურის და სხვა რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს არ შეუგროვებიათ, არ განუზოგადებიათ და დეპუტატებისათვის არ გადაუცია ამომრჩეველთა განაწესები და წინადადებანი, რის გამოც დეპუტატები არ შედგომიან მათ შესრულებას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილმბრივი საბჭოების ბევრი აღმასკომი არ ითვალისწინებს აღმასკომის სამუშაო გეგმით ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებას და არ ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ ჩაბას ამ მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილმბრივი საბჭოების აღმასკომები არ ატარებენ ადგილმბრივი საბჭოების დეპუტატებთან თათბირებსა და საუბრებს მათ წინაშე დასახული ამოცანების განმარტებისათვის, არ ანზოგადებენ მათი მუშაობის პრაქტიკას და არ აშუქებენ პრესაში დეპუტატთა მიერ დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ მასალებს.

ანეჯებს რა დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას დეპუტატების მუშაობას და მათ მიერ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს:

1. უზრუნველყონ ადგილმბრივი საბჭოების დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის მიცემული ყველა განაწესისა და წინადადების აღრიცხვა და მათი გადაცემა დეპუტატებისათვის, საჭირო დახმარება აღმოუჩინონ დეპუტატებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებაში, შეიტანონ აღმასკომების სამუშაო გეგმებში ამომრჩეველთა წინადადებების და განაწესების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ ზომები მათი განხორციელებისათვის. პერიოდულად განიხილონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულება.

2. სისტემატურად დაუჭირონ მხარი და განავითაროონ დეპუტატთა შემოქმედებითი ინიციატივა ამომრჩეველთა იმ წინადადებების შესრულებისათვის, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის მოსახურების გაუმჯობესებისაკენ, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისაკენ, ქუჩების გამშვენებისაკენ, გზებისა და ხიდების მშენებლობა-რემონტისაკენ.

3. დეპუტატთა ნუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით, პერიოდულად მოაწყონ დეპუტატთა თათბირები და საუბრები მათი მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის, პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ მათ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხორციელებაში.

4. უზრუნველყონ იმის მოწყობა, რომ დეპუტატებმა ანგარიშები ჩააბარონ თავიანთი ოლქების ამომრჩევლებს მათი გადაწყვეტილებისა და წინადადებების შესრულების შესახებ, დაეხმარონ მათ ანგარიშების შედგენაში, მოამზადონ ისინი საცნობარო მასალებით საბჭოსა და აღმასკომის მუშაობის შესახებ, უზრუნველყონ ანგარიშების საქმიანი განხილვა და როგორც საბჭოების, ისე დეპუტატების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ფართო კრიტიკის გაშლა.

5. მოაწყონ აღმასკომებთან დეპუტატთა ოთახები, სადაც დეპუტატები მიიღებენ თავიანთ ამომრჩევლებს; დახმარება გაუწიონ მათ ამომრჩეველთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრების ჩასატარებლად პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებათა შესახებ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე.

6. არსებითად გაეაუმჯობესონ ამომრჩევლებთან დეპუტატების მუშაობის საკითხებისა და ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატების ანგარიშების გაშუქება პრესაში და რადიოთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 27 ივნისი.

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

შეტანილი იქნას შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებანი:

ადიგენის რაიონში:

გამოეყოს მოხის სასოფლო საბჭოს სოფელი კეხოვანი და მიეკუთვნოს ქვეღლის სასოფლო საბჭოს.

გაუქმდეს ადიგენის სასოფლო საბჭოს სოფელი ოსიეთი.

ახმეტის რაიონში:

გამოეყოს მატნის სასოფლო საბჭოს სოფელი ხევისპალა და მიეკუთვნოს დუისის სასოფლო საბჭოს.

მოსახლეობის გეგმიანი წესით სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდნენ:

ზემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს სოფლები ბაკანა და ვაშლოვანი;

ომალოს სასოფლო საბჭოს სოფლები: გუდანთა, ბეღელა, საბუე, ფარსმა და ცოკალთა;

ახმეტის სასოფლო საბჭოს სოფელი კვერნაძეული.

ახალციხის რაიონში:

გამოეყოს ელიაწმინდის სასოფლო საბჭოს სოფელი მიქელწმინდა და მიეკუთვნოს წყრუთის სასოფლო საბჭოს.

ახალქალაქის რაიონში:

გამოეყოს ალასტანის სასოფლო საბჭოს სოფელი დიდი სამსარი და მიეკუთვნოს ბარალეთის სასოფლო საბჭოს.

გაერთიანდნენ კარწახის სასოფლო საბჭოს სოფლები ვერანაკარწახი და ფილიპოვკა და ეწოდოს სოფელი ფილიპოვკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგდანოვკის რაიონში:

ეწოდოს ხოჯაბეგის სასოფლო საბჭოს ბოგდანოვკის სასოფლო საბჭო.

გამოეყოს ეშტიის სასოფლო საბჭოს სოფელი ჯიგრაშენი და მიეკუთვნოს ბოგდანოვკის სასოფლო საბჭოს;

გაერთიანდნენ:

სათხის სასოფლო საბჭოს სოფლები ბატკანა და ოროჯოლარი და ეწოდოს სოფელი ოროჯოლარი.

ეშტიის სასოფლო საბჭოს სოფლები პატარა ხორენია და ჯიგრაშენი და ეწოდოს სოფელი ჯიგრაშენი.

გორის რაიონში:

გამოეყოს:

შინდისის სასოფლო საბჭოს სოფელი საქაშეთი და მიეკუთვნოს ვარიანის სასოფლო საბჭოს;

ზემო-ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფელი ჭანჭახა; ატენის სასოფლო საბჭოს სოფელი დიდი წერეთი და მიეკუთვნონ მღებრიანის სასოფლო საბჭოს.

კასპის რაიონში:

მოსახლეობის გეგმიანი წესით სხვა ადგილებში ჩასახლების გამო, გაუქმდნენ:

წინარეხის სასოფლო საბჭოს სოფლები: ვერხვეული, ზვარიკოტმანი, ტყემლოვანი, შუბათი: გოსტიბის სასოფლო საბჭოს სოფელი ზირთა.

გამოეყოს ლამისყანის სასოფლო საბჭოს სოფლები: მზვარეთი, მარლიანთკარი, წიფლისწყარო და მიეკუთვნონ ოკმის სასოფლო საბჭოს.

ტყიბულის რაიონში:

გამოეყოს სოჩხეთის სასოფლო საბჭოს სოფელი კისორეთი და მიეკუთვნოს გურნის სასოფლო საბჭოს.

ქარელის რაიონში:

გამოეყოს გვერძინეთის სასოფლო საბჭოს სოფლები ცახისგვერდი და სათერძე, ზემო ხვედურეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვენაფლავი, იმერხევის სასოფლო საბჭოს—სოფელი ბატიური და მიეკუთვნონ ისინი ქარელის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს ტყემლოვანის სასოფლო საბჭოს სოფლები მუხილეთი და აბუხალო და მიეკუთვნონ ზღუდრის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს გვერძინეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ბატეთი და მიეკუთვნოს კეხიჯვრის სასოფლო საბჭოს.

მოსახლეობის გეგმიანი წესით სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდნენ სოფლები კოდავეთი და ზემო შვანო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 27 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბრძანებულება აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის ჭახათის სასოფლო საბჭოს ცენტრის გადატანის, საბჭოს გადარქმევისა და ზოგიერთი სოფლის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენება და:

ა) გადატანილ იქნას ქობულეთის რაიონის ჭახათის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ ჭახათიდან სოფელ ზენითში და საბჭოს, მისი ცენტრის სახელწოდების შესაბამისად ეწოდოს ზენითის სასოფლო საბჭო;

ბ) გაერთიანდნენ სოფლები: ნაკაიძეები და ხუცუბანი ერთ—ხუცუბნის სოფლად;

ხარაზნები და კვირიკე ერთ—კვირიკეს სოფლად;

გ) მოსახლეობის საცხოვრებლად სხვა ადგილზე დასახლების გამო გაუქმდეს ყოფილი ჩაქვის სასოფლო საბჭოს სოფელი ახალსოფელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 27 ივნისი.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 13 ივნისის და 19 ივლისის დადგენილებების ნაწილობრივად შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნაწილობრივად შეიცვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 13 ივნისის და 19 ივლისის დადგენილებები და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ვალერიან ზაქარიას-ძე გიორგობიანი და პავლე პავლეს-ძე ყუფარაძე ჩაითვალონ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლებულად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 27 ივნისი.